თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 19

„16“ ნოემბერი 2022 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
თენგიზი მთვარელიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ დაღუნდარიძე;
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი;
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;
სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მედეა ჩაფურიშვილი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

   მომხს. თ.მთვარელიშვილი

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს:
გადაწყვიტეს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ ფრაქციის წევრის ივანე კირვალიძის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს შემადგენლობიდან გასვლის და ფრაქციის წევრის ანა ოთარაშვილის გარდაცვალების გამო, კომისიამ იმსჯელა და ბიუროს წარმოუდგინა ფრაქციების და უფრაქციო წევრების პროპორციულ წარმომადგენლობის ახალი კვოტები.

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტები შემდეგი სახით:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" – 40 კვოტა;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 35 კვოტა;

გ) საკრებულოს უფრაქციო წევრებისთვის - 10 კვოტა;

2. საკრებულოს ფრაქციების წევრების და უფრაქციო წევრის განაწილება საკრებულოს კომისიებში განხორციელდეს კვოტირების შესაბამისად.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: ლ.ბერძენაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სხდომის ოქმი სადაც აღნიშნულია, რომ განხორციელდა ფრაქციის თავმჯდომარის ცვლილება. ფრაქციის თავმჯდომარედ ნაცვლად ბაადურ რევაზიშვილისა არჩეულია ალექსი ძულიაშვილი, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ბაადურ რევაზიშვილი.

გადაწყვიტეს: 1. მიმდინარე წლის 02 ნოემბრიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარედ ალექსი ძულიაშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილედ ბაადური რევაზიშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს:3. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, ლ.ბერძენაშვილმა

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს კომისიებში გადანაწილდეს შემდეგი სახით:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ნაგვის ურნები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

სოციალური, კულტურის, განათლებისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი